International Company Status

ANDERSEN®

3 Lado Kavsadze street
0162 Tbilisi, Georgia
www.andersen.ge/en
info@ge.Andersen.com

International Company

What you need to know, if you intend to obtain the International Company status:

- Obtaining the International Company status
- Permitted Activities
- Tax benefits
- Revocation of the International Company status

Obtaining the International Company status

The International Company status may be granted to Georgian enterprise operating in Georgia:

- Which has at least 2 years of experience in the permitted activity to which it applies for the purpose of obtaining the status

- Which is a representative of a non-resident enterprise in Georgia, if this non-resident has at least 2 years of experience in the permitted activity to which it applies for the purpose of obtaining the status;

- The partners with more than 50% share of which have at least 2 years of experience independently (each partner separately) in the permitted activity, which is carried out by the Georgian enterprise and to which it applies for the status.

An enterprise willing to be granted the International Company status must carry out the main revenue-generating activities in Georgia, for which it must have adequate human resources with the necessary qualifications and ensure the relevant operating expenses.

Permitted Activities

Entity with the International Company status has the right to conduct the following permitted activities:

- Publishing of computer games and other software, computer programming, consulting and related activities;

- Producing and/or delivering digital products, including providing software support and updates;

- Website development and/or delivery, web hosting, remote software and hardware support, online delivery of allocated memory capacity.

- Consulting activities in the field of computer technologies, other activities related to informational technologies and computer services.

- Provision by the shipowner of the commercial services identified in Part II, article 6 of The Baltic and International Maritime Council (BIMCO) Standard Contract for Ship Management 2009 (BIMCO ShipMan 2009). (voyage evaluation, calculation of rent, freight, demurrage and/or dispatch, evaluation, calculation of rent, freight, demurrage and/or dispatch, etc.)

Tax Benefits

- Dividends distributed by an International Company are not taxed at the source of payment and are not included in the gross income of the person receiving the dividend.

- Profit distribution by an international company is taxed with CIT at 5 percent rate.

- The taxable amount of the profit of the international company is calculated by dividing the amount of the expense subject to taxation by 0.95.

- International Company is entitled to reduce the taxable base of CIT by the amount of salary expense paid to the employees, if they are citizens and residents of Georgia.

- Income from employment at an International Company is taxed at 5 percent rate.

- An International Company is exempt from property (except land) tax if this property is intended or used to carry out permitted activities.

Revocation of the International Company status

The International Company status may be revoked in the following cases:

- At the request of the person with the International Company status.
- In case of carrying out activities other than the activities allowed for a person with the International Company status, if the income received from these activities exceeds the maximum amount (2% of the income received from the activities allowed under the status).
- If a person with the International Company status no longer meets the requirements for granting the status.
- If a person with the International Company status has been granted the status of a virtual zone person.

Entity with the International Company status is entitled to receive income other than income from activities permitted under the status, if within the calendar year this type of income (excluding VAT) does not exceed 2% of income from activities permitted under the International Company status.

This publication provides only general information, and it is not recommended to make decisions on specific cases based solely on this document. It is important that you consult a professional before making any decisions. Andersen in Georgia disclaims any liability for any loss resulting from actions taken or not taken by individuals relying on the information in this publication or making decisions based on it. In case you would like to discuss the issues addressed in this publication with relation to the specific circumstances relevant for you, please contact Andersen in Georgia.

George Svanadze, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)
Managing Partner | Attorney-at-Law
George.Svanadze@ge.Andersen.com
Lasha Adamashvili, LL.B, LL.M
Head of Tax and Advisory
Lasha.Adamashvili@ge.Andersen.com
Giorgi Khanjaliashvili, LL.B, LL.M
Tax Manager | Attorney-at-Law
Giorgi.Khanjaliashvili@ge.Andersen.com

3 Lado Kavsadze street
0162 Tbilisi, Georgia

www.andersen.ge/en

info@ge.Andersen.com

საერთაშორისო კომპანიის სტატუსი

ANDERSEN®

თბილისი, ლადო
კავსაძის ქუჩა #3

www.andersen.ge

info@ge.Andersen.com

საერთაშორისო კომპანია

რა უნდა იცოდე თუ აპირებ საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მოპოვებას:

- საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მინიჭება
- ნებადართული საქმიანობები
- საგადასახადო შეღავათები
- საერთაშორისო კომპანიის სტატუსის გაუქმება

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მინიჭება

საერთაშორისო კომპანიის სტატუსი შესაძლებელია, მიენიჭოს საქართველოს საწარმოს:

- რომელსაც აქვს იმ ნებადართული საქმიანობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, რომელზეც მიმართავს სტატუსის მინიჭების მიზნით;

- რომელიც არის არარეზიდენტი საწარმოს წარმომადგენელი საქართველოში, თუ ამ არარეზიდენტ საწარმოს აქვს იმ ნებადართული საქმიანობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, რომელზეც მიმართავს სტატუსის მინიჭების მიზნით;

- რომლის 50%-ზე მეტი წილის მქონე პარტნიორ საწარმოებს დამოუკიდებლად (თითოეულ პარტნიორს ცალ-ცალკე) აქვთ იმ ნებადართული საქმიანობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, რომელზეც მიმართავს სტატუსის მინიჭების მიზნით.

საწარმოს, რომელსაც სურს საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მოპოვება, სტატუსის ფარგლებში ნებადართულ საქმიანობას უნდა ახორციელებდეს საქართველოში. შესაბამისად, მას საქართველოში უნდა გააჩნდეს სათანადო ადამიანური რესურსები საჭირო კვალიფიკაციით და უზრუნველყოს შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გაწევა.

ნებადართული საქამიანობები

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირს მიერ განსახორციელებელი ნებადართული საქმიანობები მოიცავს:

- კომპიუტერული თამაშების და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა, კომპიუტერული დაპროგრამება, კონსულტირება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები.

- ციფრული პროდუქტის დამზადება ან/და მიწოდება, პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისა და მისი განახლებული ვერსიის მიწოდების ჩათვლით.

- ვებგვერდის დამზადება ან/და მიწოდება, ვებჰოსთინგი, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის დისტანციური ტექნიკური მომსახურება, სისტემის დისტანციური ადმინისტრირება.

- საკონსულტაციო საქმიანობები კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები.

- გემთმფლობელის მიერ იმ კომერციული მომსახურებების გაწევა, რომლებიც იდენტიფიცირებულია ბალტიის საერთაშორისო საზღვაო კონფერენციის გემების მართვის 2009 წლის სტანდარტული ხელშეკრულების II ნაწილის მე-6 პუნქტში (რეისის შეფასება, გაანგარიშება და ქირის, ფრახტის, დემერეჯის და/ან დისპაჩის გამოთვლა და ა.შ.)

საგადასახადო შეღავათები

- საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

- საერთაშორისო კომპანიის მიერ მოგების განაწილება იბეგრება 5 პროცენტიანი განაკვეთით.

- საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის 0.95-ზე გაყოფით.

- საერთაშორისო კომპანია უფლებამოსილია შეიმციროს მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი დაქირავებული პირისათვის გადახდილი ხელფასის ხარჯის ოდენობით.

- საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი იბეგრება გადახდის წყაროსთან 5 პროცენტიანი განაკვეთით.

- საერთაშორისო კომპანია გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან, თუ ეს ქონება გამიზნულია ან გამოიყენება ნებადართული საქმიანობისათვის.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის გაუქმება

საერთაშორისო კომპანიის სტატუსი გაუქმდება:

- საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირის მოთხოვნით.
- საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირისათვის ნებადართული საქმიანობისაგან განსხვავებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, თუ აღნიშნული საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი გადააჭარბებს ზღვრულ ოდენობას (სტატუსის ფარგლებში ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 2%-ს).
- თუ საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირი არ აკმაყოფილებს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- თუ საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირს მიენიჭა ვირტუალური ზონის პირის სტატუსი.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირს ასევე უფლება აქვს, მიიღოს მხოლოდ ნებადართული საქმიანობის თანმდევი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ სახის შემოსავლები (დღგ-ის გარეშე) ჯამურად არ აღემატება საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირის მიერ ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 2%-ს.

პუბლიკაციაში გთავაზობთ ზოგად ინფორმაციას და მხოლოდ მასზე დაყრდნობით კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება არ არის რეკომენდირებული. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე მნიშვნელოვანია მიიღოთ პროფესიონალის კონსულტაცია. ანდერსენ ჯორჯია არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ზიანის გამო, რომელიც გამოწვეულია იმ ქმედებებით, რომლებიც განხორციელდა ან არ განხორციელდა ამ პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თუ გსურთ ამ საკითხების განხილვა თქვენთვის რელევანტური კონკრეტული გარემოების კონტექსტში, გთხოვთ დაუკავშირდეთ ანდერსენ ჯორჯიას.

გიორგი სვანაძე, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)
მმართველი პარტნიორი | ადვოკატი
George.Svanadze@ge.Andersen.com
ლაშა ადამაშვილი, LL.B, LL.M
საგადასახადო და საკონსულტაციო პრაქტიკის ხელმძღვანელი
Lasha.Adamashvili@ge.Andersen.com
გიორგი ხანჯალიაშვილი, LL.B, LL.M
საგადასახადო მენეჯერი | ადვოკატი
Giorgi.Khanjaliashvili@ge.Andersen.com

თბილისი, ლადო
კავსაძის ქუჩა #3

www.andersen.ge

info@ge.Andersen.com